ფულის გლობალური კვირეული 2026

გაკვეთილი VII-XII კლასებისთვის

შინაარსი

ნაწილი 1: ინტერაქტიული ლექცია (30 წთ) 1

ნაწილი 2: აქტივობა „ლარის ისტორია“ - ინსტრუქცია (15 წთ) 6

ნაწილი 3: თამაში „გამოიცანი სიტყვა“ - ინსტრუქცია (45 წთ) 8

ნაწილი 1: ინტერაქტიული ლექცია (30 წთ)

მასალა: *PPT: VII-XII კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია*

მომზადება:

წინასწარ გადმოწერეთ პრეზენტაცია (PPT: VII-XII კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია) და გამართეთ პროექტორი, რათა შეძლოთ სლაიდების გაშვება. თუ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ არის, შეგიძლიათ უბრალოდ ისაუბროთ და მნიშვნელოვანი საკითხები დაფაზე დაუწეროთ მოსწავლეებს.

საკითხების ახსნისას ეცადეთ, ჯერ მოისმინოთ რამდენიმე მოსწავლის აზრი, შემდეგ კი თქვენც მიაწოდოთ ინფორმაცია.

ქვემოთ მოცემულია სასაუბრო ტექსტი სლაიდების მიხედვით. ტექსტი შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი შეხედულებისამებრ, თქვენი მოსწავლეების მზაობის შესაბამისად.

სლაიდი 1:

გამარჯობა, მე --- ვარ, --- ბანკის თანამშრომელი და დღეს გესტუმრეთ როგორც ფინედუს დესპანი, რათა ფულსა და ფინანსურ უსაფრთხოებაზე გესაუბროთ. შემდეგ კი, თამაშის საშუალებით ერთად გავიხსენოთ და ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები.

სანამ დავიწყებთ, ერთი კითხვა მაქვს:

- *ასწიეთ ხელი, ვისაც უნდა ისწავლოს, როგორ მართოს ფული უფრო ჭკვიანურად? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვის სურს იცოდეს, როგორ ამოიცნოს ფინანსური თაღლითობა? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

სლაიდი 2:

თქვენ ყოველდღე იღებთ გადაწყვეტილებებს - ბევრი მათგანი შესაძლოა ფულსაც უკავშირდებოდეს. მაგალითად, რას იყიდით ჯიბის ფულით? იყიდით თუ არა რამეს ონლაინ თამაშში? საჩუქრად მიღებულ ფულს ერთბაშად დახარჯავთ თუ შეინახავთ? თქვენს ზრდასთან ერთად ფინანსური გადაწყვეტილებებიც მოიმატებს.

მაგრამ რამდენად საუბრობთ სხვებთან პირად ფინანსებზე? მაგალითად იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოიმუშავოთ მეტი ფული, როგორ დააგროვოთ ან რამდენად გყოფნით ფული ყველა სურვილის შესასრულებლად?

მოდი პატარა გამოკითხვა გავაკეთოთ:

- *ასწიეთ ხელი მათ, ვისაც ბოლო პერიოდში გისაუბრიათ მშობლებთან ან მეგობრებთან ფულზე? (მოსწავლეები სწევენ ხელს).*

შენიშვნა: შემოიფარგლეთ მხოლოდ ხელის აწევით და არ გააკეთებინოთ კომენტარები.

სლაიდი 3:

ფულზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. გაინტერესებთ, როგორ ნაწილდება ოჯახის ფინანსები? - ჰკითხეთ ოჯახის წევრებს. ყოველთვის ვერ ახერხებთ აჰყვეთ მეგობრებს ძვირიან წამოწყებაში? - ფინანსური შესაძლებლობები განსხვავდება, ისაუბრეთ ამაზე მეგობრებთან და ერთად მოიფიქრეთ სხვა გზები. ინტერნეტში რამე შეთავაზება გაეჭვებთ? - ჰკითხეთ სხვასაც და გადაამოწმეთ. ფულზე საუბარი და სწორი ადამიანებისთვის კითხვების დასმა გვეხმარება იმაში, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ საკუთარი გამოცდილება, დაშვებული შეცდომები, ვისწავლოთ მეტი და მივიღოთ უკეთესი გადაწყვეტილებები.

სლაიდი 4:

ფულზე საუბარი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფულის გლობალური კვირეულიც არსებობს, რომელსაც მთელს მსოფლიოში ყოველწლიურად აღნიშნავენ. საქართველო ამ კამპანიას წელს უკვე მე-12-ედ უერთდება. ჩვენი ეს დღევანდელი შეხვედრაც სწორედ ფულის გლობალურ კვირეულს ეძღვნება. წლევანდელი კამპანიის დევიზიც არის „ისაუბრე ფულზე“.

სლაიდი 5:

ფულზე საუბარი კარგია, და მისი სწორად მართვა - კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. განვიხილოთ 3 მარტივი ნაბიჯი, რომელიც ახლავე შეგიძლიათ გადადგათ თქვენი ფინანსების გონივრულად მართვისთვის: მიზნების დასახვა, დაზოგვა და ბიუჯეტირება.

სლაიდი 6:

ფინანსური მიზნის დასახვა ნიშნავს, რომ ვიცით ზუსტად რა გვინდა და რა თანხასთან არის დაკავშირებული მისი ასრულება. მიზანი გვაძლევს მიმართულებას და მოტივაციას, დავზოგოთ, ანუ დავაგროვოთ, სამომავლოდ შევინახოთ ჩვენი ფულის, **შემოსავლის** ნაწილი.

სლაიდი 7:

დანაზოგი არ არის უბრალოდ ცალკე გადადებული თანხა, ეს არის თქვენი ოცნება, გეგმა და ამავე დროს **ფინანსური უსაფრთხოებაც!** დანაზოგი გვეხმარება იმაშიც, რომ ფინანსურად მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს, მაგალითად, ჩვენთვის სასურველი ნივთი მოულოდნელად გამოჩნდა გასაყიდად და ამისთვის გვაქვს უკვე დანაზოგი. ან ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ზედმეტი ხარჯი გამოიწვია, მაგალითად, ტექნიკა გაგვიფუჭდა ან სასკოლო ნივთი დაგვეკარგა - დანაზოგი აქაც დაგვეხმარება.

სლაიდი 8:

მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი - ბიუჯეტირებაა. პირადი ბიუჯეტის შედგენა ნიშნავს, რომ ვიცით: რამდენი ფული გვაქვს, ანუ რა არის ჩვენი შემოსავალი, რამდენს ვხარჯავთ და რამდენს ვზოგავთ, ანუ ვინახავთ სამომავლოდ.

წარმოიდგინეთ, რომ ყოველთვიურად გაქვთ 100 ლარი. ანუ ეს არის თქვენი **შემოსავალი.** როგორ გადაანაწილებდით?

- *გთხოვთ ჯერ ასწიეთ ხელი მათ, ვინც სრულად ამ თვეშივე დახარჯავდით ფულს;*
- *ახლა იმათ, ვინც ნაწილს შეინახავდით, ნაწილს კი დახარჯავდით,*
- *ახლა კი იმათ, ვინც მთლიანად შეინახავდით. (მოსწავლეები თითოეულ ჯერზე აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას)*

შენიშვნა: შემოიფარგლეთ მხოლოდ ხელის აწევით და არ გააკეთებინოთ კომენტარები.

როგორც ხედავთ, შემოსავლის განაწილების სხვადასხვა სტრატეგია არსებობს, მაგრამ გონივრულია, დაიცვათ ბალანსი.

სლაიდი 9:

ახლა გასწავლით მარტივ ხერხს, როგორ შეიძლება გაანაწილოთ თქვენი შემოსავალი, იქნება ეს ნაჩუქარი ფული, ჯილდოდ მიღებული ფული თუ ყოველდღიური ჯიბის ფული: ეს არის **ბიუჯეტირების 50-30-20-ის წესი!**

შემოსავლის 50% უნდა გაანაწილოთ საჭიროებებზე - ანუ ისეთ რაღაცეებზე, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად.

- *მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: კვება, ტრანსპორტი, საკანცელარიო ნივთები და ა.შ)*

30% მიდის სურვილებზე - ანუ ისეთ რაღაცეებზე, რაც აუცილებელი არ არის, თუმცა გვინდა და სიხარულს გვანიჭებს,

- *მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: გართობა, სასუსნავები, სათამაშოები და ა.შ.)*

20% კი უნდა წავიდეს დანაზოგზე - ეს არის თქვენი მიზნისთვის გადადებული ფული

მაგალითად, თვეში 100 ლარის შემოსავალი, შეიძლება ასე გადანაწილდეს:

- 50 ლარი - საჭიროებები
- 30 ლარი - სურვილები
- 20 ლარი - დანაზოგი, რაც წელიწადში 240 ლარია.

- *რას იყიდდით 240 ლარად? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 3-4 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 10:

ფულის მართვაში საბანკო მომსახურების გამოყენებაც დაგეხმარებათ. მაგალითად, დანაზოგი სახლის ნაცვლად შეგიძლიათ შეინახოთ ბანკში **ანაბარზე, ანუ დეპოზიტზე.**

- *თქვენი აზრით, რატომ შეიძლება სჯობდეს დანაზოგის ბანკში შენახვა სახლში შენახვას? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 3-4 პასუხი და გააგრძელეთ.

თუ დანაზოგს ბანკში შევინახავთ, მასზე გარდა ჩვენ მიერ შეგროვებული ფულისა, დამატებით, **საპროცენტო სარგებელიც** დაგვერიცხება, ანუ ფული ნელნელა „მუშაობს“ ჩვენთვის. ბანკში ჩვენი დეპოზიტი უფრო მეტად დაცულია, ვიდრე სახლში, თანაც როცა ფული

ვადიან დეპოზიტზე გვიდევს, ანუ კონკრეტული დროის შემდეგ უნდა გამოვიტანოთ, გაცილებით ნაკლებია მისი დახარჯვის ცდუნება, ვიდრე სახლში შენახული ფულისა.

სლაიდი 11:

თუმცა ბანკი მხოლოდ ფულის შენახვის ადგილი არაა. ბანკები ასევე გასცემენ სესხებს ადამიანებსა და კომპანიებზე. ადამიანები სესხით აღებული თანხით ყიდულობენ სხვადასხვა სამომხმარებლო ნივთებს, უძრავ ქონებას და ა.შ. კომპანიები კი - აფართოებენ ბიზნესს. ამ გზით, ბანკები ხელს უწყობენ ეკონომიკას. გარდა დანაზოგების მიღებისა და სესხების გაცემისა, ბანკები სხვადასხვა პროდუქტსაც სთავაზობენ მომხმარებლებს.

სლაიდი 12:

TOP 3 პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა ბანკში მშობლების თანხმობით შეიძლება გახსნან, არის: საბანკო ბარათი, დეპოზიტი ან ელექტრონული ყულაბა და მობილბანკი. **საბანკო ბარათი** გეხმარებათ თქვენი ფულის გამოყენებაში, **ელექტრონული ყულაბა** - შეგროვებაში, ხოლო **მობილ ბანკი** ანგარიშების ონლაინ მართვასა და ფულის კონტროლში. არ დაგავიწყდეთ, მანამ, სანამ რომელიმე ბანკის პროდუქტით ისარგებლებდეთ, ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება: რა საკომისიოები აქვს? რამდენი % ერიცხება ჩემს დეპოზიტს? სხვა რა პირობებს გვთავაზობს? რამდენად ახლოსაა ჩემთვის ბანკის ფილიალები და ბანკომატები?

სლაიდი 13:

მოკლედ, ბანკი გვეხმარება ჩვენი ფულის მართვაში, ამ ყველაფერს კი **საქართველოს ეროვნული ბანკი** აკონტროლებს. ის არის ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც ბანკებსა და ასევე სხვა საფინანსო ორგანიზაციებს ზედამხედველობს, რათა მათ წესების დაცვით, უსაფრთხოდ და გამართულად იმუშაონ და დაცული იყოს ჩვენი დეპოზიტები. სპორტული ტერმინებით რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკი არის საფინანსო სისტემის „მსაჯი“.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს, ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდა, ანუ ინფლაცია, ზომიერი იყოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ფასები პროდუქტებზე - არ იცვლებოდეს ძალიან ხშირად და ძალიან: მაგალითად, რაიმე დღეს ღირდეს 2 ლარი, ხვალ 20, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად ზრუნავს მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზე. ამისთვის მან შექმნა ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ. გაიხსენეთ, რა გითხარით დასაწყისში - დღეს სწორედ ფინედუს წარმოვადგენ.

ეროვნული ბანკი ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ეროვნული ვალუტის - ლარის - ქაღალდის ფულის, ანუ ბანკნოტების და მონეტების გამოშვების უფლება.

სლაიდი 14-15:

ფულის მართვისას მნიშვნელოვანია ასევე ფინანსური უსაფრთხოებაც. ჩვენ ვიხდით ბარათით ონლაინ, ვაკეთებთ გადარიცხვებს მობილბანკით, მაგრამ სამწუხაროდ, სადაც ფულია, იქ თაღლითებიც არიან, ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი წესი არის ის, რომ არასდროს გააზიაროთ პირადი მონაცემები: პაროლები - როგორიცაა ანგარიშის პაროლი, ბარათის პინ-კოდი ან სმს-ით ოპერაციის დასადასტურებლად მოსული ერთჯერადი კოდი. ასევე არ გააზიაროთ ბარათზე დატანილი

მონაცემები - როგორიცაა ბარათის 16-ნიშნა ნომერი, მოქმედების ვადა, უსაფრთხოების CVV ან CVC კოდი.

- *თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გამოიყენოს თაღლითმა ეს მონაცემები? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

მართალია, თუ თაღლითმა ჩვენი პაროლი გაიგო, შეძლებს ჩვენს მობილბანკში შესვლას და ყველა იმ ოპერაციის გაკეთებას, რაც მობილბანკით შეიძლება - ანუ ჩვენი ფულის სათავისოდ გამოყენებას. ბარათის მონაცემების გაგებით კი შეუძლია ეს მონაცემები ონლაინ გადახდისას გამოიყენოს, ანუ ბარათიდან ჩვენი ფული მიითვისოს.

- *მაგრამ, საიდან შეიძლება გაიგოს თაღლითმა ჩვენი მობილბანკის ან ბარათის მონაცემები? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 16:

ჩვენი ფინანსური მონაცემები შეიძლება სხვას ხელში ჩაუვარდეს, თუ მაგალითად ბარათს უყურადღებოდ დავტოვებთ, ან პაროლებს ფურცელზე დავწერთ. მაგრამ გარდა ამისა, თაღლითები ცდილობენ მოტყუებით გაგვამჟღავნებინონ ჩვენი მონაცემები - **ფიშინგის** გზით. ამ დროს თაღლითი მოგების დაპირებით, ან სასწრაფო შეტყობინებით ცდილობს რომ შეგვიყვანოს ყალბ ვებგვერდზე, რომელიც ნამდვილი გვგონია და აქ ჩაგვაწერინოს ეს მონაცემები.

მოდი ახლა მე წაგიკითხავთ რეალურ სიტუაციებს, თქვენ კი ხელის აწევით მანიშნეთ, უსაფრთხოა თუ თაღლითობაა.

სლაიდი 17:

მოგდით SMS: თქვენი ბარათი დაიბლოკა. იმისთვის, რომ კვლავ შეძლოთ ბარათით სარგებლობა, გადადით ამ ბმულზე და შეიყვანეთ თქვენი ბარათის მონაცემები.

- *უსაფრთხოა თუ თაღლითობა? თუ უსაფრთხოა, ცერა თითი ასწიეთ ზემოთ, თუ თათლითობაა - დასწიეთ ქვემოთ (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

შენიშვნა: 17-20 სლაიდებზე თითოეულ ქეისზე შემოიფარგლეთ მხოლოდ ცერის ჩვენებით და არ გააკეთებინოთ კომენტარები.

ეს სიტუაცია ზუსტად ფიშინგის მაგალითია, ბანკი არასდროს არ მოგთხოვთ ბმულზე გადასვლას და ბარათის მონაცემების შეყვანას.

სლაიდი 18:

ინსტრაგრამზე გწერთ მეგობარი: ბარათი სახლში დამრჩა, შეგიძლია ამ ადამიანის ბარათზე ჩამირიცხო თანხა? სასწრაფოდ მჭირდება.

- *უსაფრთხოა თუ თაღლითობა? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

ეს სიტუაცია საეჭვოა, შესაძლოა თქვენი მეგობრის ანგარიში გატეხილი იყოს და მისი სახელით სხვა გწერდეთ. უმჯობესია თქვენს მეგობარს სხვაგვარად დაუკავშირდეთ,

მაგალითად დაურეკოთ და ისე გადაამოწმოთ, ნამდვილად თვითონ გწერთ თუ არა, რადგან სხვა ადამიანს არ ჩაურიცხოთ თანხა.

სლაიდი 19:

ტიკტოკზე გხვდებათ ვიდეო: პირველი 100 კომენტარის ავტორი მოიგებს ახალ აიფონს. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, გამოაგზავნეთ თქვენი ან მშობლის ბარათის ფოტო პირად შეტყობინებაში.

- *უსაფრთხოა თუ თაღლითობა? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

ეს სიტუაცია თაღლითობაა, ბარათის მონაცემების გაგზავნით, თქვენ უცხო ადამიანს პირდაპირ წვდომას აძლევთ ბარათზე და მაშასადამე, ფულზეც. ეს იგივეა, პირდაპირ საფულე, ან სახლის გასაღები რომ გაატანოთ სხვას.

სლაიდი 20:

ვიდეო თამაშში გხვდებათ შეტყობინება: უფასო ქოინები! შეიყვანე შენი ბარათის მონაცემები და მიიღე 1000 უფასო ქოინი!

- *უსაფრთხოა თუ თაღლითობა? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

ეს სიტუაცია თაღლითობაა, ამ გზითაც შეიძლება მოიპარონ თქვენი ბარათის მონაცემები ან გაკეთდეს ავტომატური გამოწერა, რაც შემდეგ ყოველთვიურად ჩამოგაჭრით ფულს ბარათიდან.

დიდი მადლობა ყველას მონაწილეობისთვის.

- *რომ შევაჯამოთ, ფინანსური უსაფრთხოების რომელი წესია ყველაზე მნიშვნელოვანი? (მოსწავლეები პასუხობენ. შეიძლება თქვან - გადაამოწმონ ინფორმაცია, არ გააზიარონ ბარათის მონაცემები, არ გადავიდნენ საეჭვო ბმულებზე და ა.შ.)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 3-4 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 21:

ფინანსური თაღლითობა ხშირად მარტივად, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციად გამოიყურება, თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს: რაც ზედმეტად კარგია იმისთვის, რომ სიმართლე იყოს, დიდი შანსია თაღლითობაა.

სლაიდი 22:

ახლა მოდი, რადგან ფულის კვირეულია - ჩვენს ფულზე, საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე - ლარზეც ვისაუბროთ. ამისთვის პატარა თამაშს ვითამაშებთ.

ნაწილი 2: აქტივობა „ლარის ისტორია“ - ინსტრუქცია (15 წთ)

მასალა: *PDF: ლარის ისტორიის ბარათები.*

მომზადება:

- **ბარათების მომზადება:** ამობეჭდეთ ლარის ისტორიის ბარათები და გადაკეცეთ (ან შეაწებეთ) ისე, რომ ერთ მხარეს იყოს თარიღი, მეორე მხარეს - ისტორიული ინფორმაცია.
- **მონაწილეების დაყოფა:** დაყავით მონაწილეები გუნდებად ისე, რომ საბოლოოდ თითოეულ გუნდს თითო ბარათი შეხვდეს (13 ბარათი - 13 გუნდი).
- **ვარიაციები მონაწილეების რაოდენობის მიხედვით:** მცირე რაოდენობის მონაწილეების შემთხვევაში შესაძლებელია თითო ბარათის წყვილებისთვის, ან ინდივიდუალურად განაწილება. 13-ზე ნაკლები რაოდენობის მონაწილის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთ მონაწილეს შეხვდეს რამდენიმე ბარათიც.

თამაშის მიზანი

მონაწილეებმა უნდა შექმნან ლარის ისტორიის ქრონოლოგიური ხაზი 90-იანი წლებიდან დღემდე.

სასაუბრო ტექსტი:

ჩვენ ახლა შეგვიძლია სწრაფად გავაცოცხლოთ ლარის ისტორია, 90-იანი წლებიდან დღემდე. ამისთვის, გუნდებად ვიმუშაოთ. მე დაფასთან მოგიწვევთ თითო-თითო გუნდს და მოგცემთ ბარათს. ბარათის ერთ მხარეს ეწერება ნაწყვეტი ლარის ისტორიიდან, მეორე მხარეს კი წელი - როდესაც ეს ამბავი მოხდა. გთხოვთ, არ შეხედოთ წლის მხარეს, არამედ წაიკითხეთ ისტორია და დაახლოებით გამოიცანით - როდის მოხდა ეს ამბავი - რაღაც წლის შემდეგ, თუ რაღაც წლამდე და დადექით შესაბამის ადგილას. და ასე შემდეგ, სანამ ყველა წყვილი არ გამოხვალთ და შევქმნით ლარის ისტორიის ქრონოლოგიურ ხაზს - 90-იანებიდან დღემდე.

პირველი მე წავიკითხავ ბარათს, რათა საწყისი წელი გქონდეთ.

თამაშის მსვლელობა

ნაბიჯი 1: თამაშის დაწყება (თქვენი მაგალითი)

- იღებთ 2000 წლის ბარათს (საწყისი ბარათი) და კითხულობთ მასზე მოცემულ ინფორმაციას ხმამაღლა
- ამოატრიალებთ ბარათს (წლის გამოსახულებით წინ) და დებთ/აკრავთ დაფაზე შუაში

თამაშის ბოლოს მონაწილეები განლაგებულნი უნდა იყვნენ U-ს სახით ან სწორ ხაზზე (თუ სივრცე გაძლევთ საშუალებას): მარცხნივ იქნება ყველაზე ადრინდელი მოვლენები, მარჯვნივ - უახლესი. ალტერნატიულად, ბარათები შეგიძლიათ მიამაგროთ დაფაზე ან კედელზე.

ნაბიჯი 2: 1-ელი გუნდის ჯერი

- გამოგყავთ პირველი გუნდი, აძლევთ რომელიმე ბართს და სთხოვთ, ხმამაღლა წაიკითხონ ბარათზე მოცემული ისტორია.
- **მნიშვნელოვანია!** გუნდები ვერ ხედავდნენ ბარათის უკანა მხარეს (წელს)!
- გუნდი ფიქრობს: ეს ამბავი საწყის ბარათზე, ანუ 2000 წლამდე მოხდა, თუ 2000 წლის შემდეგ და დადგნენ შესაბამისად ან ამ ბარათამდე, ან ბარათის შემდეგ.

- ადგილის დაკავების შემდეგ, გუნდი ატრიალებს ბარათს და კითხულობს თარიღს: თუ სწორად განლაგდნენ, რჩებიან ადგილზე და უკრავთ ტაშს. თუ არასწორია - დადგებიან შესაბამის ადგილზე.

ნაბიჯი 3: თამაშის მსვლელობა

გამოგყავთ თითოეული გუნდი დაფასთან რიგრიგობით, საათის ისრით მიმართულებით.

თითოეული გუნდი:

ა) წაკითხვა: კითხულობს თავის ბარათზე მოცემულ ინფორმაციას ხმამაღლა

ბ) პოზიციის არჩევა: იმის მიხედვით, თუ როდის ფიქრობენ რომ მოხდა ეს მოვლენა, ირჩევენ და დგებიან ერთ-ერთ პოზიციაზე:

- უკვე განთავსებული ბარათ(ებ)ის წინ
- ბარათებს შორის
- ბარათ(ებ)ის შემდეგ

გ) შემოწმება: ატრიალებენ ბარათს და ამოწმებენ თარიღს. თუ პასუხი:

- სწორია - მონაწილეები ტაშს უკრავენ გუნდს,
- არასწორია - გუნდი უნდა გადადგეს სწორ ადგილზე

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა გუნდი არ წაიკითხავს თავის ბარათს და არ შექმნება სრული ქრონოლოგიური ხაზი.

ნაბიჯი 4: თამაშის დასრულება

იქმნება ლარის ისტორიის სრული ქრონოლოგიური სურათი

მონაწილეები სვამენ დამატებით კითხვებს, თქვენ კი აწვდით შესაბამის ინფორმაციას, ან უთითებთ, სად შეიძლება გაეცნონ: https://nbg.gov.ge/georgian-money

სასაუბრო ტექსტი:

დიდი მადლობა! თქვენ შექმენით ლარის ისტორიის სრული სურათი! ახლა კი მოდი, ფინანსური ტერმინების თამაშზე გადავიდეთ.

ნაწილი 3: თამაში „გამოიცანი სიტყვა“ - ინსტრუქცია (45 წთ)

მასალა: *PDF: გამოიცანი სიტყვა, 4 კალამი, 10-10 ჰატარა ფურცელი თითოეული გუნდისთვის, დაფა, ცარცი ან მარკერი, ტელეფონი - წამზომის დასანიშნად.*

მომზადება:

- **ბარათების მომზადება:** ამობეჭდეთ „გამოიცანი სიტყვის“ ბარათები და გამოჭერით (ფურცლების დაზოგვის მიზნით, ბეჭდვისას Page Sizing & handling სექციაში მონიშნეთ Multiple - 1 თაბახის ფურცელზე 4 ბარათის დასაბეჭდად).

- **მონაწილეების დაყოფა:** დაყავით კლასი ოთხ გუნდად. დარწმუნდით, რომ თითოეულ გუნდს აქვს თითო კალამი და რამდენიმე პატარა ფურცელი (პასუხების დასაწერად).
- **დაფის მომზადება:** დაწერეთ დაფაზე ოთხივე გუნდის ნომერი და მოამზადეთ ცარცი ან მარკერი ქულების ჩასაწერად.
- **ტელეფონის მომზადება:** მზად გქონდეთ წამზომი
- **შენიშვნა:** უმჯობესია, თუ მასწავლებელს წინასწარ სთხოვთ გუნდების დაყოფას და საჭირო მასალების მომზადებას.

თამაშის მიზანი

გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს ფინანსური ტერმინების სწორად გამოცნობაში, მინიშნებების საფუძველზე. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

ქულების მინიჭება

- ტერმინის გამოცნობა 1 მინიშნებით: 3 ქულა
- ტერმინის გამოცნობა 2 მინიშნებით: 2 ქულა
- ტერმინის გამოცნობა 3 ან 4 მინიშნებით: 1 ქულა
- სხვა გუნდის ტერმინის გამოცნობა (იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე გუნდმა ვერ გამოიცნო): 1 ქულა

სასაუბრო ტექსტი:

ახლა კი დროა, თამაშით ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები. ამისთვის, 4 გუნდად დაგყოფთ. თამაშის მიზანი არის ის, რომ გუნდებმა მინიშნებების საფუძველზე სწორად გამოიცნოთ რაც შეიძლება მეტი ფინანსური ტერმინი ჩვენი ბარათებიდან.

თამაში ასე მიმდინარეობს: გუნდებმა რიგრიგობით უნდა გაათამაშოთ ბარათები. გამოვა პირველი გუნდიდან 1 მონაწილე, რომელიც ხმამაღლა წაიკითხავს პირველ მინიშნებას - პასუხი კი თავისმა გუნდმა უნდა გამოიცნოს. გუნდს გამოსაცნობად და ერთმანეთში შესათანხმებლად 15 წამი გექნებათ, ამის შემდეგ, ხმამაღლა უნდა დააფიქსიროთ გუნდის პასუხი. მიიღება მხოლოდ 1 პასუხი! თუ პასუხი არ გაქვთ პირველივე მინიშნებაზე, შეგიძლიათ დაელოდოთ შემდგომ მინიშნებებს და შემდეგ დააფიქსიროთ პასუხი.

- თუ პასუხი სწორია, გუნდს მიენიჭება 3 ქულა
- თუ პასუხი არასწორია, გუნდს მიენიჭება 0 ქულა. დანარჩენ გუნდებს გექნებათ შესაძლებლობა, თქვენთვის პატარა მოცემულ პატარა ფურცლებზე 15 წამის განმავლობაში დაწეროთ თქვენი პასუხი. გუნდებს, რომლის პასუხიც სწორი იქნება, მიენიჭებათ 1-1 ქულა. ამიტომ გთხოვთ, სხვა გუნდების მონაწილეებსაც ყურადღებით მოუსმინოთ და თქვენი პასუხები წინასწარ არ წამოიძახოთ.
- თუ გუნდი პასუხს არ ამბობს, მონაწილე კითხულობს მეორე მინიშნებას და გუნდი კვლავ 15 წამის განმავლობაში აფიქსირებს პასუხს. თუ პასუხი სწორია, გუნდს ენიჭება 2 ქულა. ხოლო თუ მესამე (ან ზოგიერთი ბარათის შემთხვევაში - მეოთხე) მინიშნების შემდეგ გამოიცნობთ პასუხს, მოგენიჭებათ 1 ქულა.

ქულებს მეც ჩამოვწერ დაფაზე, მაგრამ გთხოვთ თქვენც მოინიშნოთ თქვენთვის, რადგან არაფერი გამოგვრჩეს.

მზად ხართ? დავიწყოთ.

თამაშის მსვლელობა:

გუნდებიდან თითო მონაწილე გამოგყავთ რიგ-რიგობით (საათის ისრის მიმართულებით).

გუნდის მონაწილე: იღებს ერთ-ერთ ბარათს და კითხულობს მხოლოდ პირველ მინიშნებას.

შესაბამისი გუნდი: 15 წამის განმავლობაში თანხმდება ერთმანეთში და აფიქსირებს მხოლოდ 1 პასუხს ხმამაღლა.

დანარჩენი გუნდები: პასუხს არ აფიქსირებენ ხმამაღლა, არამედ წერენ პატარა ფურცლებზე თავიანთი გუნდის ნომერთან ერთად და 15 წამის განმავლობაში გაწვდიან/იღებთ თქვენ.

გუნდის მიერ პასუხის ხმამაღლა დაფიქსირებისას გვაქვს 3 ვარიანტი:

1) **პასუხს არ აფიქსირებს** - მონაწილე გადადის შემდეგი მინიშნების წაკითხვაზე, სანამ მინიშნებები არ ამოიწურება.
2) **პასუხი არასწორია** - გუნდს ენიჭება 0 ქულა, სხვა გუნდებს აქვთ პასუხების წერილობით დაფიქსირების შესაძლებლობა - სწორი პასუხი 1 ქულა (ნებისმიერ ეტაპზე)
3) **პასუხი სწორია** - გუნდს ენიჭება: 3 ქულა, თუ გამოიცნო პირველივე მინიშნებაზე), 2 ქულა - მეორე მინიშნებაზე, 1 ქულა - მესამე (ან ზოგი ბარათის შემთხვევაში მეოთხე) მინიშნებაზე.

თქვენ წამზომით ინიშნავთ თითოეული პასუხის დროს.

თითო ბარათის გათამაშების მაქსიმალური დროა 1 წუთი. გათამაშების ბოლოს მონაწილე სრულად კითხულობს ყველა მინიშნებას (რომლებიც მანამდე არ წაკითხულა) და სწორ პასუხს.

ამის შემდეგ დგება მეორე გუნდის ჯერი და ა.შ.

თითოეული გუნდის ქულას აფიქსირებთ დაფაზე.

თამაშის დასასრულს, აჯამებთ ქულებს და ასახელებთ გამარჯვებულ გუნდს.

შენიშვნა: თამაშში სულ არის 30 ტერმინი, არ არის აუცილებელი, ყველა ტერმინის გათამაშება მოასწროთ, მთავარია, თითოეულ გუნდს თანაბარი რაოდენობის ბარათები შეხვდეს გამოსაცნობად. თამაში რჩება კლასში და სხვა დროსაც შეუძლია მასწავლებელს ათამაშოს.

სასაუბრო ტექსტი: **(შეჯამება)** ყოჩაღ, ყველა გუნდი ძალიან კარგი იყო! გამარჯვებული ერთი გუნდი გვყავს, თუმცა ვფიქრობ, ფინანსური ტერმინები უკვე ყველამ იცით. ასევე იცით, როგორ მართოთ თქვენი ფული, როგორ გამოიყენოთ საბანკო პროდუქტები და როგორ დაიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან ახლა კი, ასწიეთ ხელი: ➢ *ვინ აპირებს, უფრო ხშირად ისაუბროს მშობლებთან ფულზე? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

- *ვინ აპირებს გამოიყენოს 50-30-20-ის წესი? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვინ არის მზად ასწავლოს ფინანსური უსაფრთხოების წესები ოჯახის წევრებს? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

ძალიან კარგი, გახსოვდეთ, რომ ფულზე საუბარი მნიშვნელოვანია, დაფიქრდით სანამ დახარჯავთ და დაიცავით თქვენი ფინანსური მონაცემები.